შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს “ტელეკომპანია თბილისის“, თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

ქ. თბილისი

2016 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზირებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის” თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVBT2 (EN302755) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T2 COFDM პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 33.1 მგბტ/წმ. ხოლო - SD არხის გავრცელების სიჩქარე არა ნაკლებ 2.15 მგბტ/წმ–ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან მომსახურების მიწოდების მისამართია: ქ. თბილის, მთაწმინდის მთაზე არსებული საქართველოს ტელერადიოცენტრის კუთვნილი ანძა.

აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: სერიული ციფრული ინტერფეისი (SDI) BNC-პაპა შესართით - სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდრიების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები

2.1 თბილისის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისთვის თვეში გადასახადი შეადგენს 1350 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, დღგ-ს ჩათვლით.

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2016 წლის 01 აგვისტოდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით - 2017 წლის 01 აგვისტომდე.

25.07.16.